„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“

კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2025 წელი ● №3-4 (9593-94) ● 1-28 თებერვალი ● ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

პროექტები 15-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში შერჩეულია

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევასთან დაკავშირებით, მოსახლეობასთან საერთო კრებები / კონსულტაციები სენაკის მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა.

საქართველოს მთავრობის გა-

დაწყვეტილებით, 2025 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტისთვის 738 000 ლარია გამოყოფილი. თითოეულმა სოფელმა, ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, თანხა მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით მიიღო. ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა ხმათა უმრავლესობით თავად გადაწყვიტეს რას მოხმარდება დასახლებისთვის გამოყოფილი თანხა. საერთო კრებებზე განხილულ იქნა მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები და ხმათა უმრავლესობით გამოვლინდა შემდეგი პრიორიტეტები: ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ მუხურში — საყანე ფართობების ღობის მოწყობა; სკვერის ღობის რეაბილიტაცია; გმირთა მემორიალის რეაბილიტაცია; სოფელ სირიაჩქონში — გარე განათების ქსელის მოწყობა. ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში საგადელიოს უბანში — გარე განათების ქსელის მოწყობა; ახალსოფლის ცენტრში — მილხიდის მოწყობა; სოფელ ისულაში — შიდა საუბნო გზებზე — გარე განათების ქსელის მოწყობა; სოფელ ისულას საჟვანიოს უბანში — სანიაღვრე არხისა და მილხიდის მოწყობა. ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ საბესელიოში — საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რკინიგზის გამიჯვნა საძოვრისგან; სოფელ შუა ნოსირში — ტრენაჟორის მოწყობა; სოფელ

საოდიშარიოში — გარე განათების ქსელის მოწყობა; სოფელ ნოსირში — გარე განათების ქსელის მოწყობა. მეორე ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში,საბარკალაიოს უბანში — გარე განათების ქსელის მოწყობა; საგუდავოს უბანში — გარე განათების ქსელის მოწყობა; სალოლუოს უბანში — სასაფლაოს ღობის მოწყობა; გეჯეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ბიბლიოთეკის ეზოს მოწყობა და ბიბლიოთეკის ოთახების რეაბილიტაცია.

ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზემო სორტაში — მგზავრთა 2 მოსაცდელის მოწყობა; სოფელ ძველ სენაკში — გარე განათების ქსელის მოწყობა. ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გახომელაში — სკვერის მოწყობა. ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ლეძაძამეში — ბიბლიოთეკის შენობის და ეზოს ღობის რეაბილიტაცია; სოფელ ლესაჯაიეში — ეკლესიასთან მისასვლელ გზაზე — გარე განათების ქსელის მოწყობა; სანიაღვრე არხისა და მილხიდის მოწყობა; სოფელ კვაუთში — ეკლესიასთან მისასვლელ გზაზე — გარე განათების ქსელის მოწყობა; სოფელ ჯოლევში — ფანჩატურის მოწყობა; სოფელ ზემო ბეთლემში — გარე განათების ქსელის მოწყობა. ფოცხოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მეორე მოხაშში — გზის რეაბილიტაცია; სოფელ ფოცხოში — ფანჩატურის მოწყობა. უშაფათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ლეკოკაიეში — არსებულ ხიდბოგირზე — პორტალური კედლის მოწყობა; გარე განათების ქსელის მოწყობა; სოფელ ლეგოგინეში — გარე განათების ქსელების მოწყობა; სოფელ ლეგოგინეს ლემალანიეს უბანში — გარე განათების ქსელების მოწყობა; სოფელ უშაფათში — გარე განათების ქსელის მოწყობა. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიზანია, სოფლის ტიპის დასახლებების ინფრასტრუქტურის განვითარება, მოსახლეობის ჩართულობის გაძლიერება და მათ მიერ შერჩეული პრიორიტეტების შესაბამისად, ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტა.

თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ თეკლათში — საყანე ტერიტორიებზე ღობის მოწყობა ეკლიანი მავთულხლართებით; ბიბლიოთეკის შენობის ფასადის რეაბილიტაცია; სოფელ საგვარამიოში — მილხიდის მოწყობა; სოფელ რეკაში — წყაროსა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია. მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საწულეისკირიოში — გარე განათების ქსელის მოწყობა; სოფელ ბათარიაში — გზის რეაბილიტაცია. ხორშის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ პატარა ზანაში — სასაფლაოს ღობის მოწყობა; წყალმომარაგების სისტემის მოწყობა; სოფელ დიდ ხორშში — გარე განათების ქსელის მოწყობა; სოფელ შუა ხორშში — გმირთა მემორიალის რეაბილიტაცია; საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა. ეკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ შრომისკარში — სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია; სოფელ საადამიოში — გარე განათების ქსელის მოწყობა; სოფელ ეკში — სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია; სოფელ საცხვიტავოში — მინი სპორტული მოედნისა და წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია. ზანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ეწერში — სასაფლაოს ღობის მოწყობა; გარე განათების ქსელის მოწყობა; სოფელ სატყებუჩავოში — გარე განათების ქსელის მოწყობა; სოფელ საესებუოში — გარე განათების ქსელის მოწყობა; სოფელ საშურღაიოში — არსებულ ხიდზე პორტალური კედლის მოწყობა.

განსახორციელებელი პროექტები 15-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში შერჩეულია. პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობისთვის პრიორიტეტულ 52 ინფრასტრუქტურულ პროექტს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერია განახორციელებს.

სენაკში, ორ ლოკაციაზე, ბინოკლი განთავსდა

ტურიზმის-განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და სამეგრელოს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის (DMO) ურთიერთთანამშრომლობით, ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში, ტურისტული მიზიდულობის ერთ-ერთ გამორჩეულ ლოკაციაზე — მდინარე ტეხურის ხეობაში, რუხი ყანჩების (Ardea cinerea) ბუდობის ადგილზე, ბინოკლი-განთავსდა. ბინოკლით, რომელიც 20-ჯერ აახლოვებს ობიექტს, ნებისმიერი ამინდის პირობებში შესაძლებელია სარგებლობა.

დაკვირვების ობიექტები — რუხი ყანჩები (Ardea Cinarea), ადრეულ გაზაფხულზე, ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპიდან და აფრიკის სანაპიროებიდან მოფრინავენ დედამოკას ხეობაში და გვიან შემოდგომამდე რჩებიან აქ. ისინი დასაბუდებლად ყოველწლიურად ერთსა და იმავე ხეებს ირჩევენ, ხეობის ცენტრში, ქარისგან მაქსიმალურად დაცულ ადგილას და ემზადებიან სიცოცხლის ციკლის შეუჩერებელ ფერხულში ჩასაბმელად.

ნებისმიერ მსურველს და განსაკუთრებით, ფრინველებზე დაკვირვების მოყვარულებს, საშუალება მიეცემათ, დააკვირდნენ იშვიათი სახეობის ფრინველებს. ტურიზმის-განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში, ბინოკლი-ასევე-განთავსდა ქალაქ სენაკის ტერიტორიაზე არსებულ ერთ-ერთ უმაღლეს წერტილზე — „ასსაფეხურიან კიბესთან“, საიდანაც სენაკის თვალისმომჭრელი ხედები იშლება. ბინოკლი 12-ჯერ აახლოვებს ობიექტს და გამოიყენება ნებისმიერი ამინდის პირობებში. ორივე ლოკაციაზე, ბინოკლით-სარგებლობა სრულიად უფასოა.

რეაბილიტაცია დასრულებულია

ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის ლეგოგიეს უბანში, გზის კაპიტალური რეაბილიტაციის პროექტი განხორციელდა. სარეაბილიტაციო არეალი 4 495 გრძივი მეტრია. მასშტაბური პროექტის ფარგლებში, სრულად მოწესრიგდა დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურა, საფეხმავლო ბილიკი, სანიაღვრე სისტემა. პროექტი, ღირებულებით — 1 671 421 ლარი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებით განხორციელდა.

ჩატარებულ სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ: საქართველოს პარლამენტის წევრი, ფოთის, სენაკისა და ხობის დელეგატი, გიორგი ხახუბია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია და მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

(დასასრული)

ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს პროექტი

სენაკის ტექნოპარკში, მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს — ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს პროექტის — „ახალგაზრდები ინოვაციური იდეებისა და მეწარმეობის განვითარების უნარების დასაუფლებლად“ ფარგლებში, ახალსოფლის, ნოსირის, თეკლათის, მენჯისა და ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, სატრენინგო კურსი დაიწყო.

საპრეზენტაციო ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ, საბა ოდიშარიამ, მერის თანაშემწემ, ნიკოლოზ ქეცბაიამ, ახალგაზრდული საბჭოს კოორდინატორმა, გვანცა მალანიამ, სენაკის ტექნოპარკის მენეჯერმა, თამარ მალანიამ, ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრებმა და პროექტში ჩართულმა ახალგაზრდებმა.

„ახალგაზრდები ინოვაციური იდეებისა და მეწარმეობის განვითარების უნარების დასაუფლებლად“ ფარგლებში, ახალგაზრდები დაეუფლებიან: მეწარმეობისა და ინოვაციური ტექნოლოგიების საფუძვლებს; გაეცნობიან მეწარმეობის არქეტიპების აწყობას; ინოვაციური და კრეატიული აზროვნების მახასიათებლებს; ჩაუტარდებათ ვორქშოფი ინოვაციური აზროვნების, იდეების გენერირების, მომხმარებლის ტიპების, ბაზარზე გასვლის მარკეტინგული სტრატეგიების, პროგრამირების, ლაზერული მჭრელის ტექნიკურ საფუძვლებსა და სხვა საკითხებზე. ახალგაზრდებს მასტერკლასს წარმატებული მეწარმეები ჩაუტარებენ.

მონაწილეებისთვის, სამეწარმეო სივრცეებში, ორდღიანი, გასვლითი ვიზიტები მოეწყობა. 22 თებერვალს, პროექტის ფარგლებში, შემაჯამებელი ფორუმი გაიმართება. პროექტს ახორციელებს ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოების ასოციაცია, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო -სენაკის ტექნოპარკის მხარდაჭერით.

სასწავლო კურსი დაუფინანსდათ

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და პირველი ონლაინ საგანმანათლებლო პლატფორმა — ნეო უნივერსტიტეტის „Skillwill“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ონლაინ კურსებზე 48 სენაკელი ახალგაზრდა დარეგისტრირდა, მათგან კი, კომისია, 16 ახალგაზრდას შეარჩევს.

მერიის სხდომათა დარბაზში, კომისიამ, რომელსაც სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ნანა ზარანდია ხელმძღვანელობს, შემადგენლობით — მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი; ნეო უნივერსიტეტის „Skillwill “ სტუდენტთა წარმატებაზე ზრუნვის გუნდის ხელმძღვანელი, მაია მჟავანაძე, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე, ნიკოლოზ ქეცბაია; ახალგაზრდობისა და კულტურის მიმართულებით — განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპეციალისტი, გვანცა მალანია, აპლიკანტებთან გასაუბრება გამართა.

20 თებერვლიდან, სენაკის მუნიციპალიტეტის მერია, 16 ახალგაზრდას პროფესიული განვითარების უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს და სრულად დაუფინანსებს Skillwill-ის ციფრული მარკეტინგისა და პროგრამირების კურსებს, რაც მათ საშუალებას მისცემს, მიიღონ თანამედროვე ტექნოლოგიური განათლება და დაიწყონ მაღალშემოსავლიანი კარიერა.

პროექტის ფარგლებში, 2023-2026 წლების ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის შესაბამისად, ახალგაზრდების დასაქმებისა და პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2024 წელს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ, 30 სენაკელ ახალგაზრდას, სრულად დაუფინანსა IT ტექნოლოგიებისა და პროგრამირების კურსები.

ანა კალანდაძე — 100

29 იანვარს, სენაკის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, ელისო შურღაიას ინიციატივით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით, მოსწავლე -ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის საკონცერტო დარბაზში, ანა კალანდაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ვიქტორინა — „ვინ უკეთ იცნობს პოეზიის დედოფალს?!“, ჩატარდა. ვიქტორინაში მონაწილეობა მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სექტორის 16 საჯრო სკოლის 18-მა გუნდმა მიიღო. ჟიურიმ, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, ზაზა ნაჭყებიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ინგა ქარდავას, პროექტის ავტორის, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, ელისო შურღაიას შემადგენლობით, გამარჯვებული გუნდები გამოავლინა. პირველი ადგილი წილად ხვდა სენაკის მე-7 საჯარო სკოლის გუნდს „მაგნოლია“, მეორე ადგილი — ქვემო ფოცხოს საჯარო სკოლის გუნდს „ია“, III ადგილის მფლობელები გახდნენ: ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლის გუნდი „ჭიამარია“ და მესამე საჯარო სკოლის გუნდი „მთიები“. გამარჯვებულ მონაწილეებს სერთიფიკატები და სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწვეტილებით, გამარჯვებული გუნდების კაპიტნებს — ნინო ადამია და ხატია სანაიას, ფულადი ჯილდო გადაეცათ. დაჯილდოების ცერემონიალზე გამოვლინდა საახალწლო საღამოზე გამართული კონკურსის — „დაიჭირე კადრი” გამარჯვებული, ხელოვნების ცენტრის კოორდინატორი — საორგანიზაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, ელზა ხუბუა-კაცია. საღამოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია და მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია დაესწრნენ.

სისხლის დონაციის აქცია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ ორგანიზებით, სისხლის უანგარო დონაციის აქცია — „გაუზიარე სიცოცხლე, გაიღე სისხლი“ — გაიმართა. ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, მერიას დაქვემდებარებული სტრუქტურების თანამშრომლებმა, სისხლი დღესაც უანგაროდ გაიღეს. სისხლის დონაციის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე, მანანა გვიჩია, მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსი, ნატალია ხუბუა ესწრებოდნენ. დონაციის აქცია ადამიანების სიცოცხლის გახანგრძლივებას, უმეტეს შემთვევაში კი, სიცოცხლის გადარჩენას უზრუნველყოფს. მსგავს კამპანიაში მონაწილეობის მზადყოფნის სურვილს მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო მუდმივად გამოთქვამენ.

ალექსობის და თამაროობის დღესასწაულები

31 იანვარს, მართლმადიდებლური ეკლესია, წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის და მენჯის მთავარანგელოზთა სავანეში მოღვაწე წმინდა ალექსი ბერის (შუშანია) ხსენების დღეს აღნიშნავს. წმინდანის სავანეში, ღირსი მამის აღსრულებიდან მე-102 წლისთავთან დაკავშირებით, სადღესასწაულო წირვა აღევლინა. განუზომელია დიდი მწიგნობარი და ასკეტი მამის ღვაწლი. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დევნის უმძიმეს პერიოდში მან შექმნა სამონასტრო ცხოვრების უძლიერესი კერა, რომელიც კომუნისტური დევნის პერიოდშიც არ ჩამქრალა და ჩვენამდე მტკიცედ მოიტანა სასულიერი მოღვაწეობის ტრადიციები. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, 1995 წელს, ალექსი ბერი წმინდანად შერაცხა და ხსენების დღედ 31 იანვარი დააწესა. 2000 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, წმინდა ალექსი სენაკელის საფლავზე მცირე ბაზილიკური ტაძარი იკურთხა. ღირსი მამის საფლავის ქვაზე ეპიტაფიაა, რომელიც ანდერძის სახით თავადვე შეადგინა და თაობებს დაუტოვა: „...ვაი კაცისა მის, რომლისა სახელი უფროს არს საქმისა და ესე შემემთხვია მე.” ალექსობას და თამარობას გილოცავთ!

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2025 წლის 14 თებერვალს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ერთობლივი სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა.

1.სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე".

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბადრი კალანდარიშვილი.

თანამომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის აუდიტის სამსახურის უფროსი, გელა ბაღათურია.

* * *

სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის მე-2 კორპუსის სამოქალაქო განათლების მასწავლებლის, დავით ალანიას ინიციატივითა და აღნიშნული სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მოსწავლეები დაინტერესდნენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს ფუნქციებითა და მუშაობის სპეციფიკით.

მათ მიერ დასმულ ყველა კითხვაზე, ამომწურავი პასუხი, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარიამ, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავამ, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე, ლევან ჯინორიამ და ფრაქცია „ქართულო ოცნება-დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარის მოადგილე, მანანა გვიჩიამ გასცეს.

შეხვედრაზე გაირკვა, რომ მოსწავლეების მხრიდან საკრებულოს მუშაობის სპეციფიკით დაინტერესება მაღალია და ორივე მხრიდან გამოითქვა მზაობა შემდგომი თანამშრომლობისათვის.

* * *

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი, თავმჯდომარის მოადგილე ზაზა ნაჭყებია, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავა, საკრებულოს წევრი, მარინე ნანეიშვილი და სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, ელისო შურღაია, ანა კალანდაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ვიქტორინაში — „ვინ უკეთ იცნობს პოეზიის დედოფალს?!" მონაწილე გუნდების კაპიტნებს შეხვდნენ.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივით, თითოეულ მათგანს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზაზა ნაჭყებიამ და საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავამ, პირადი გადაწყვეტილებით, ვიქტორინაში გამარჯვებული გუნდის კაპიტანს, N7 საჯარო სკოლის მოსწავლეს, ნინო ადამიასა და მეორე ადგილზე გასული გუნდის კაპიტანს, ქვემო ფოცხოს საჯარო სკოლის მოსწავლეს, ხატია სანაიას ფულადი ჯილდო გადასცეს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო, სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს, აქტიურად დაუჭერს მხარს.

* * *

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავას ორგანიზებით, შეხვედრა გაიმართა სენაკში მოღვაწე, სპორტის სხვადასხვა სახეობის მწვრთნელ-მასწავლებლებთან.

სენაკის სპორტის სასახლეში გამართულ შეხვედრაზე, 70 წლის იუბილე მიულოცეს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს კალათბურთში, სასპორტო გაერთიანების კალათბურთის სექციის მწვრთნელ-მასწავლებელს, თამაზ ხაფავას.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქადავამ, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ნანა ზარანდიამ, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე, მანანა გვიჩიამ, მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა, გივი მისაბიშვილმა და საკრებულოს წევრმა, მარინე ნანეიშვილმა მწვრთნელ-მასწავლებლებს მადლობა გადაუხადეს საქმიანობისათვის და გაწეული მუშაობისათვის მადლობის სიგელები გადასცეს.

ალექსი დემურია,
საკრებულოს აპარატის
უფროსი სპეციალისტი
საინფორმაციო საკითხებში

სენაკის საპატიო მოქალაქეები

სენაკის საპატიო მოქალაქეები არიან ადამიანები, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანეს მშობლიური ქალაქისა და ქვეყნის განვითარებაში.

გაზეთ „კოლხეთის" რედაქციამ ერთი კითხვით მიმართა რესპონდენტებს. გთავაზობთ საპატიო სენაკელების მოკლე ბიოგრაფიებსა და პასუხებს.

რას ნიშნავს თქვენთვის სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება?

იოსებ მიხელაშვილი - საქართველოს წარმომადგენელი ისრაელში.

დაიბადა 1939 წლის 21 იანვარს ქ. ცხაკაიაში, ქართველი ებრაელების ოჯახში. 1958 წელს დაამთავრა მეორე საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1964 წელს ტექნიკოს-მექანიკოსის კვალიფიკაციით.

1961 წლიდან 1997 წლამდე მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებებში: №5 საყოფაცხოვრებო კომბინატში,ქ. თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში, ქ. თბილისის არასაუწყებო დაცვაში, ცეკავშირის საწარმოო კომბინატში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხაკაიას №2 სამმართველოში, №2 ტრესტის კომპლექტაციისა და მატერიალურ ტექნიკური მარაგების კანტორის საამქროს უფროსად, №2 ტრესტის სამრეწველო საწარმოს კომბინატის საამქროს უფროსად, შპს „საქართველოს ინდუსტრიალ კომბინატში" საწყობის გამგედ.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისათვის მინიჭებული აქვს მთავრობის ჯილდო „შრომის ვეტერანი".

1994 წლიდან იოსებ მიხელაშვილი არის საქართველოს წარმომადგენელი ისრაელში. იგი დღემდე პატრონობს სენაკში მდებარე ებრაელთა სალოცავს-სინაგოგას და ქართველ-ებრაელთა სასაფლაოს. იოსებ მიხელაშვილი ერთადერთი ებრაელია, რომელმაც არ მიატოვა მშობლიური სენაკი და დღემდე ისრაელიდან ჩამოსულ ქართველ ებრაელთა შთამომავლებს ღირსეულ, ქართულ სტუმარ — მასპინძლობას უწევს ჩვენს კოლხურ ქალაქში.

სიამაყისა და მადლიერების გრძნობა გეუფლება ადამიანს, როდესაც შენს განვლილ გზას აფასებენ და განიჭებენ მშობლიური ქალაქის საპატიო მოქალაქის წოდებას. დამეთანხმებით ალბათ, რომ სენაკში დაბადებული და გაზრდილი ადამიანისათვის, ეს ყველაზე საუკეთესო ჯილდოა.

ჩემთან ერთად დაჯილდოებულთ ვულოცავ სენაკის საპატიო მოქალაქეობას. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა „ეგრისობაზე" ერთად შეკრებილი საზოგადოება ვნახე.

მინდა ერთობა ბრონეულის მარცვლებს შევადარო. თუ ქართველები ერთმანეთის გვერდით მყარად დადგებიან, მათ ვერაფერი მოერევა.

მადლობა ქალაქის ხელისუფლებას ამ საპატიო ჯილდოსათვის და ქართველთა და ებრაელთა 26 საუკუნოვან მეგობრობაში კიდევ ერთი ლამაზი ფურცლის ჩაწერისთვის.

* * *

ვახტანგ ნიკოლაძე, აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სამხატვრო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

დაიბადა 1982 წელს ქ. სოხუმში. დაამთავრა საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა მოწვეულ პედაგოგად თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, მსახიობად თბილისის ალ. გრიბოედოვის სახელმწიფო რუსულ დრამატულ თეატრში, რეჟისორად და სამსახიობო სტუდიის ხელმძღვანელად ებრაულ სახლში. 2022 წლიდან დღემდე სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სამხატვრო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად. მინიჭებული აქვს ჯერ ბაკალავრის, შემდეგ მაგისტრის ხარისხი თეატრის რეჟისურაში. გავლილი აქვს ტრენინგები სხვადასხვა ქვეყნების თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის მიერ ორგანიზებულ სარეჟისორო მასტერკლასებში, მიღებული აქვს შესაბამისი სერთიფიკატები.

ფლობს მშობლიურ და უცხო ენებს. ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი.

სენაკის საპატიო მოქალაქეობა დიდი პატივი და გამორჩეული ჯილდოა ჩემთვის. როდესაც გამჩნევენ, გაფასებენ, სიყვარულს და სითბოს გინაწილებენ მადლიერების გრძნობით ივსები.

ჩემი ფესვები სენაკს უკავშირდება, ბაბუა ამ ქალაქიდან იყო. ტრადიციების და სიყვარულის ქალაქია სენაკი. ალბათ ბედისწერა იყო ჩემი ამ ქალაქში მოხვედრა. პროფესიული აღმასვლა, ოჯახის შექმნა, უსაყვარლესი შვილის შეძენა. რაც შეეხება სენაკის თეატრს, ეს არის სივრცე, სადაც გაქვს კავშირი ადამიანებთან, სადაც შეგიძლია გამოხტო ემოცია. ეს სივრცე გაძლევს საშუალებას იფიქრო, თითოეულ დადგმულ სპექტაკლში დაინახო შენი ცხოვრება. თეატრი განსაზღვრავს ქვეყნის კულტურას, ტრადიციებს, ხასიათს.

მადლობა იმ ადამიანებს, ვინც ჩემს გვერდით დგანან და იმათ ვინც მომანიჭა ეს საპატიო წოდება. მიხარია ის ფაქტი, რომ ვარ იმ ადამიანების რიგში, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს არა მხოლოდ სენაკისათვის, არამედ საქართველოსათვისაც.

აქვე მინდა მივულოცო ყველას, ვისაც ჩემთან ერთად მიანიჭეს სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება.

განვითარება, წინსვლა, თანხმობა სენაკს და სენაკელებს.

მაია გერგაია

ალექსი ბერის ნაკვალევზე

სენაკის მუნიციპალიტეტს, ტრადიციულად, დიდი როლი მიუძღვის ჩვენი ქალაქის და არა მხოლოდ ჩვენი ქალაქის, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების წინსვლა-განვითარების საქმეში.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში, საქართველოს საერო

და რელიგიური ცხოვრების ერთ-ერთ გარდამტეხ ეტაპზე, თავისი თვალსაჩინო სიტყვა თქვა ღირსმა წმინდა მამამ, ალექსი შუშანიამ, რომლის ნამოღვაწარიც დღემდე ნათელ შუქად ეფინება ქვეყნის საერო და სულიერ ცხოვრებას.

ღირსი მამა ალექსი შუშანია დაიბადა 1852 წლის 23 სექტემბერს, სენაკის მაზრის სოფელ ნოქალაქევში. მამის სიკვდილის შემდეგ 16 წლის ახალგაზრდა, გაემგზავრა ქ. სტამბოლში (კონსტნატინოპოლში), სადაც, იმ პერიოდში, ცხოვრობდა და სავაჭრო საქმიანობას ეწეოდა ბიძამისი ისლამ შუშანია, მის ოჯახში ახალგაზრდა ალექსის დახვდა საკმაოდ მდიდარი დაბეჭდილი თუ ხელთნაწერი ქართული წიგნები, ძირითადად სასულიერო შინაარსისა. სტამბოლში ერთწლიანი ცხოვრების პერიოდში, სასულიერო წიგნებით აქტიურმა გატაცებამ მკვეთრი გარდატეხა მოახდინა მის მსოფლმხედველობაზე. სარწმუნოებრივი განწყობით გაჟღენთილი დაბრუნდა იგი თავის სამშობლოში, სოფელ ნოქალაქევში, სადაც გარკვეული პერიოდი, ანდრია სალოსის წიგნის გავლენით ეწეოდა სალოსურ ცხოვრებას — დადიოდა სოფლიდან სოფლად ფეხშიშველი, ეხმარებოდა ქვრივ-გაჭირვებულებს, ემსახურებოდა გადამდები სენით შეპყრობილ უჭირისუფლო ავადმყოფებს. მისი სიტყვა და საქმე კი, მრავალ მიმდევარს პოულობდა.

საზოგადოებრივ-საქველმოქმედო მოღვაწეობასთან ერთად, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ალექსი, არ ივიწყებდა გონებრივ-საგანმანათლებლო მუშაობას. იგი ხშირი სტუმარი იყო გელათისა და მარტვილის მონასტრებისა, რომელთა წიგნთსაცავებში გატაცებით ეცნობოდა ძველ ხელთნაწერებს. ამავე დროს მას ახლო კავშირი ჰქონდა ცნობილ მწიგნობარ ნიკო დადიანთან (შალვა დადიანის მამა), რომელიც იმ პერიოდში ცხოვრობდა სამეგრელოს სოფელ

ბეთლემში. ნიკოს მდიდარი ბიბლიოთეკა და მასთან საუბრები, ფრიად ნაყოფიერი სკოლა შეიქნა ახალგაზრდა ალექსისთვის.

მე-19 საუკუნის სამოცდაათიან წლებში, მღვდელმონაზონ ბენედიქტე ბარკალაიას თაოსნობითა და ცნობილი საეკლესიო მოღვაწის გაბრიელ ეპისკოპოსის თანადგომით, დაიწყო საქართველოდან ქართველი ბერების დენა საბერძნეთში — ძველ ათონში, იბერიის ქართულ მონასტერში დამკვიდრებისთვის. ალექსი დაინტერესდა ამ საქმით და ბენედიქტე ბარკალაიასთან ერთად გაემგზავრა ათონში, სადაც დარჩენილა რამდენიმე თვე. სამშობლოში დაბრუნებისას კი, გზად გამოუვლია ქალაქ კიევში, მღვიმის ლავრის მოსალოცად.

მამა ალექსის სასულიერო მოღვაწეობაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს მის მიერ, სენაკის მაზრის სოფელ მენჯში მდებარე გორაკზე, ისტორიულად არსებული მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის ნანგრევებზე, ტაძარის აგებას (შემდგომში მენჯის მთავარანგელოზთა ტაძარი), სავანეს, სადაც თავად არის დაკრძალული...

მადლიერმა შთამომავლობამ არ დაივიწყა თავისი გამორჩეული შვილის ამაგი, ის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, წმინდა მამა ალექსი შუშანიას ხსენების დღედ გამოცხადდა 31 იანვარი.

წმინდა მამა ალექსი შუშანიას მშობლიურ ქალაქ სენაკში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიოს ორგანიზებითა და ლოცვა-კურთხევით დაარსდა და 15 წელია ფუნქციონირებს წმინდა მამა ალექსი შუშანიას სახელობის სკოლა-გიმნაზია, რომელიც ღირსეულად აგრძელებს ამაღლებული სულისკვეთებით დამკვიდრებულ მის სასწავლო-შემოქმედებით გზას.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიოს ლოცვა-კურთხევით და ამავე სკოლის ორგანიზებით ყოველწლიურად, მისი ხსენების დღეს იმართება შემოქმედებით-თეატრალური ღონისძიებები, არც წლევანდელი წელი ყოფილა გამონაკლისი. მიმდინარე წლის 31 იანვარს, დიმიტრი ჯაიანის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში გაიმართა, წმინდა ალექსი სენაკელის აღსრულებიდან 102-ე წლისთავთან დაკავშირებით, ღირსი მამის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მხატვრული საღამო.

ღონისძიება გახსნა საღამოს ორგანიზატორმა, სკოლა-გიმნაზიის დირექტორმა, ქალბატონმა ნინო ჯანჟღავამ, რომელმაც მოკლედ წარმოგვიდგინა, წმინდა მამის ღვაწლი განსხვავებული რაკურსით — მისი საზოგადოებრივი და შემოქმედებითი (პოეტური) მოღვაწეობა. ისაუბრა სკოლის დაარსებაზე, ასევე ამ დღის მნიშვნელობაზე, ღონისძიების საქველმოქმედო დანიშნულებაზე (აქცია მოიცავდა, ძირითადად სასკოლო აუდიტორიაზე ბილეთების გაყიდვის გზით, შემოსული თანხების შეგროვებას საქველმოქმედო მიზნით).

წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებმა, თეატრალური წარმოდგენის დაწყებამდე, ისაუბრეს მამა ალექსის ღვაწლზე — მათ, წმინდანის განვლილი გზა წარმოაჩინეს განსხვავებული კუთხით, აღწერეს მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა, დაგვანახეს ის როგორც პოეტი, ბუნებისმეტყველი (მამა ალექსის ნაშრომი — „დედამიწის ბრუნვისა და ფორმის შესახებ"), გააცოცხლეს მწიგნობარი მამის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ეტაპები, წაიკითხეს ნაწყვეტები პუბლიცისტური წერილებიდან და პოეტური შემოქმედებიდან, მოსწავლეებმა საოცარი სამსახიობო ოსტატობით შექმნეს მეტად საინტერესო თეატრალური პერსონაჟები ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე — ცხოვრების რთულ გამოწვევებზე, მისი დაძლევის საშუალებებზე, განათლების როლზე, მოხერხებულობაზე, სიკეთეზე, სიყვარულზე და ა.შ. წარმოდგენამ ანშლაგით ჩაიარა.

ქალბატონმა ნინომ, დასკვნითი სიტყვით გამოსვლისას, მადლობა გადაუხადა საოცარი სანახაობის მთავარ შემოქმედებს — სკოლის მოსწავლეებს (განსაკუთრებით ხაზი გაუსვა სრულიად ნორჩ, მესამეკლასელთა როლს ამ წარმოდგენაში), ღონისძიების ერთ-ერთ ორგანიზატორს, სკოლა-გიმნაზიის დირექტორის მოადგილეს, ქალბატონ მზია ჩემიას, სკოლის მასწავლებელს ქალბატონ რუსუდან მურღულიას, ასევე ქალბატონ ია ოჩიგავას, სასწავლებლის თვითმმართველობას, სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს აღნიშნულ საღამო-ღონისძიებაში; საქველმოქმედო აქციის ორგანიზატორს — საქველმოქმედო ორგანიზაცია „ვაჩუქოთ ერთმანეთს სიკეთე"-ის დირექტორს ქალბატონ ანა ბაკურაძეს, რომლის ფონდშიც გადაირიცხა შემოსული თანხა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათ-

ლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსს, ბატონ გივი მისაბიშვილს, სენაკის მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებს, დამსწრე აუდიტორიას.

გაზეთ „კოლხეთის" სახელით, სრულიად საქართველოს ვულოცავთ წმინდა მამის — ალექსი შუშანიას ხსენების დღეს, ვუსურვებთ, მისი ზებუნებრივი მადლი გამაერთიანებელ ძალად მოდებოდეს ჩვენს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას.

გიორგი გარუჩავა

მკითხველთა საანგარიშო კონფერენცია

სენაკის საჯარო ბიბლიოთეკაში მკითხველთა აქტივთან წიგნის განხილვის, პრაქტიკული მუშაობის საკითხებზე მსჯელობის, მუშაობის გასაუმჯობესებლად ღონისძიებათა დასახვის მიზნით გაიმართა საანგარიშო კონფერენცია.

საჯარო ბიბლიოთეკის სპეციალისტმა, ქალბატონმა ლუიზა კემულარიამ განიხილა გასული 2024 წლის შედეგები შედეგები და 2025 წლის ამოცანები. მან აღნიშნა, რომ „ბიბლიოთეკა არის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ორიენტირებულია ხელი შეუწყოს ბიბლიოთეკებისა და საზოგადოების თანამშრომლობის ახალი ფორმების ჩამოყალიბებას და აღზარდოს წიგნიერი თაობა. წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეივსო წიგნადი ფონდი, იმართება ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები მწერლებთან, მკითხველთა კონფერენციები, ეწყობა თემატური გამოფენები. გამოვლენილ იქნა აქტიური მკითხველები, მოსწავლეები, სტუდენტები. ჩატარებული ღონისძიებებიდან შეიძლება გამოვყოთ: „შენ უკვდავების ხარ ბინადარი"-ჟიული შარტავას 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მეგრული ფოლკლორის საღამო, ჩვენ ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს", პოეზიის საღამო „ჩემი საყვარელი ლექსი" ბიბლიოთეკის თანამშრომელთა მონაწილეობით, 9 აპრილისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო, ბიბლიოთეკა ჩემი სამყაროა, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები... ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდნენ საჯარო სკოლის მოსწავლეები, ისე ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები.

ბიბლიოთეკა ყოველდღიურად ემსახურება ათეულობით მკითხველს, გასახარია ის ფაქტი რომ იმატა ახალგაზრდა მკითხველების რაოდენობამ.

ჩვენი ამოცანაა კიდევ უფრო დავხვეწოთ მკითხველთა მომსახურების ფორმები და მეთოდები".

სოფლის ბიბლიოთეკარებმა ნონა კუპრეიშვილმა (გეჯეთი), იზო სიორდიამ(მენჯი), მზეონა ფინთურიამ(ძველი სენაკი), ლია ხურცილავამ(ახალი სოფელი), ანჟელა სოსელიამ(ჭალადიდი), ნინო გვასალიამ(საბავშვო ბიბლიოთეკა), ზაალ ელიავამ ისაუბრეს წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ, პრობლემებზე. ასევე მადლობა გადაუხადეს ზემდგომ ორგანოებს გაწეული თანადგომისათვის.

კონფერენციას ესწრებოდნენ: მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის კოორდინაცის განყოფილების უფროსი სოფო გარუჩავა და ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები.

მ. ჭუბაბრია

ქართული ეროვნული ტანისამოსი

საქართველოში სამოსს უხსოვარი დროიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის მიერ მოკვლეული ისტორიული მასალის მიხედვით ირკვევა, რომ საქართველოში ყველა საუკუნეში ყველა ფენა თავის შესაფერის ტანისამოსს ატარებდა. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქსოვილის ხარისხსა და დიზაინსაც.

დროთა განმავლობაში ნელ-ნელა ჩამოყალიბდა კლასიკური ქართული კოსტიუმი: მამაკაცისათვის — გრძელი ჩოხა-ახალუხი, ქამარხანჯლით გაწყობილი, სათანადო ფეხსაცმლით და ქალის კაბა — გრძელი, სარტყლითა და ჩიხტიკოპით დამშვენებული. ეს სამოსი, ფაქტობრივად, მთელ საქართველოში გავრცელდა, განსაკუთრებით — დიდგვაროვანთა წრეში. სამოსის ამგვარი კომბინაცია მიჩნეულია, რომ ქართლ-კახური წარმოშობისაა.

საქართველოს მთის რეგიონების მოსახლეობის სამოსი განსაკუთრებული თვითმყოფადობითა და ორიგინალურობით გამოირჩევა. მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმის მცხოვრებლებისა და ხევსურული ულამაზესი ტრადიციული კოსტიუმები, რომლებიც დამუშავების საკმაოდ რთული ტექნოლოგიით, ფერთა შეხამებით, ორნამენტებით იქცევს ყურადღებას. თავის დროზე ხევსურულმა კოსტიუმმა თავისი ორიგინალური ფორმისა და სტილის დამსახურებით, მთელ კავკასიაში ანალოგი რომ არ მოეძებნება, მოგზაურთა და მკვლევართა ყურადღებაც მიიქცია. ტანსაცმლის მორთულობაში ჯვრის ფორმის ხშირი გამოყენების გამო, მას ზოგჯერ არაქართული წარმოშობის სამოსად მიიჩნევდნენ, ხევსურებს კი — ჯვაროსნების შთამომავლებად. არსებული ეთნოგრაფიული მასალების კვლევამ დაადასტურა, რომ ეს ნამდვილად ქართული ეროვნული სამოსია.

ხევსური მამაკაცის ტრადიციული კოსტიუმი „ტალავარი“ შინ ნაქსოვი ტოლისაგან მზადდებოდა. იგი კვართისებური პერანგის, ჩოხისა და მოკლე შარვლისაგან შედგებოდა. ქალის ტალავარის მთავარი ელემენტი იყო “სადიაცო“ კაბადა „ფაფანაგი“ ან “ქოქლო“. მას მოკლესახელოები ჰქონდა და ყოველდღიურ სამოსად გამოიყენებოდა, ფაფანაგი კი ხევსური ქალების გამოსავლელი სამოსი იყო. ხევსური ქალის თავსაბურავი ბამბის ან შალის ქსოვილისაგან დამზადებული სათაურასა და მანდილისაგან შედგებოდა. ზამთარში ხევსურები წელში გადაჭრილ, მოკლე ტყავს იცვამდნენ.

მოხევეები - ქართველ მთიელთა ეთნიკური ჯგუფია. მიუხედავად მჭიდრო ურთიერთობისა და უახლოესი მეზობლობისა, მოხევეთა ტრადიციული ტანსაცმელი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ხევსურთა ტრადიციული სამოსისაგან. მოხევე ქალთა ტანსაცმელი “ტარავალი“ პერანგის, ახალუხისა და საგულესაგან შედგებოდა. პერანგი - ფარჩის ან ჩითის ფერადი ქსოვილისაგან მზადდებოდა. ახალუხი პერანგის ზემოდან ჩასაცმელი იყო: სწორი, უფრო ხშირად გრძელი, დაბამბული, ფერადი სარჩულით დამუშავებული და ძვირფასი ქსოვილისაგან დამზადებული, ზოგჯერ კი დაუბამბავი და მოკლე. მოხევე მამაკაცებს ქართული, კუჭებიანი ჩოხა-ახალუხი ეცვათ.

ფშაური ტანსაცმლის დასამზადებლად ძირითადად შალის ქსოვილებს იყენებდნენ. მამაკაცისა და დედაკაცის ჯუბები შინ ნაქსოვი მასალით იყო დამზადებული“. ფშავ ქალებს ეცვათ გრძელი, ფერადი პერანგი, შავი სატინის გრძელსახელოიანი “საგულე“ და მოკლე ზედატანი - “პალტო“. პალტოს ქვეშ ნაოჭიანი კაბა და შავი სატინის წინსაფარი - “ფასტამალი“. ისინი თავზე იხურავდნენ მძივებითა და თეთრი ფულებით შემკულ თავჩითას, ქიშმირის მოსახვევსა და ჩიქილას. ფშავი მამაკაცების ტანსაცმელი ფერადი პერანგი, მოკლე, უსახელო საგულე, მოკლე ახალუხი და გრძელი, ნაოჭიანი ჩოხა იყო.

თუშეთი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონის ერთერთი ულამაზესი კუთხეა. „თუშები ტანსაცმელს ამზადებდნენ თავიანთი ნაწარმი შალისაგან. მათი ორივე სქესის საყვარელი ფერია შავი და ლურჯი“. თუში ქალის კოსტიუმი მოკლე და გრძელსახელოებიანი პერანგისაგან შედგებოდა, მოკლე და უსახელო ფარაგასა და

ოგრაფიულ-ეთნიკური მდებარეობით და ის მნიშვნელოვნად აისახა დასავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონის ტანსაცმელში, სადაც თითოეული ეთნიკური კუთხისათვის ჩამოყალიბდა ტრადიციული ქართული კოსტიუმის ორიგინალური ფორმები, შესრულებული აღნიშნული კუთხეებისათვის დამახასიათებელი ფორმებით.

სვანები “ქართველების ტომის უფრო შორეულს შტოს შეადგენენ... ზამთარში იგი იხურავს მაღალსა და წვეტიან ნაბდის ქუდსა, თეთრსა ან შავსა; ზაფხულში სვანი ხმარობს იმერულს ფაფანაკს, რომელიც ისე პატარაა, რომ საქოჩრეს ძლივსა ჰფარავს“. სვანი ქალის კაბა („კაბ“) ორი ნაწილისაგან შედგებოდა- „ჟიბე ტან“ (ზედა) და „ჩუბე ტან“ (ქვედა). . „ჟიბე ტან“-ს „კუნტრუშკაის“ ეძახდნენ. მათ ეცვათ კოჭებამდე გრძელი პერანგი — „ფატან“.

ლეჩხუმლებიც თავისებურად, ორიგინალურად იმოსებოდნენ. ლეჩხუმელი ქალის „ამაზოვკა“- დიდი და განიერი, შავი ფერის, ბოლო მომრგვალებული ქვედა კაბა - „იუბკა“ იყო. „ქათიბა“ გრძელი, გაჭიმულსახელოებიანი ჩასაცმელი - მუშავდებოდა სარჩულით და გულზე - ბოლომდე ბეწვით. სამჯორჯალიანი კაბა სიარულის დროს ძირს „მიჩოჩიალებდა“. კაფთარა - გრძელი და ნაოჭასხმული კაბა იყო, სარჩულით დამუშავებული, „კურტკა“ - ზედატანი, „იუფკა“ - დაბამბული და დალიანდაგებული, შიგნით ჩასაცმელი ქვედა კაბა, კოფთა - საღამური ჩასაცმელი. ლეჩხუმელი ქალები თავსაბურავად იყენებდნენ თავხურას, გეგელასა და გაურჯელას, მათ ზემოთ ბაღდადსა და „ლაჩაქს“.

რაჭული კოსტიუმების უმეტესი ნაწილი შავი სატინისაა, მაგრამ აქ მოიპოვება აგრეთვე ფერადი ფართო ატლასისაგან შეკერილი მდიდრული, მორთული კოსტიუმები. რაჭულ ტანისამოსს, თავისი წარმოშობით, უეჭველია, კავშირი აქვს ძველებურ ქართულ კოსტიუმთან და ეს რაჭული “კაფთარაც“, ფორმით და ჭრილობით, ქართული ყუთმაჯიანიკაბის პროტოტიპია...“

მეგრული ტრადიციული სამოსი გამოირჩევა თავისი უნიკალური სტილით და სიმბოლიკით. მეგრულ სამოსში ხშირად გამოიყენება ბუნებრივი ქსოვილები, როგორიცაა სქელი მატყლი და აბრეშუმი, რაც ასახავს რეგიონალური კულტურის და ცხოვრების წესის თავისებურებებს.

წარსულში ქართველი ქალის სილამაზით მოხიბლული ჟან შარდენი წერდა: “ქართველები მთელ აღმოსავლეთში და შეიძლება ითქვას მთელ მსოფლიოში, საუცხოო ჯიშის ხალხია, ამ ქვეყნებში მე არ შემხვედრია არც ერთი უშნო ადამიანი, კაცი იქნება თუ ქალი, ვხვდები მხოლოდ და მხოლოდ ანგელოზისებრ სახეებს. ქალების უმეტესობა ბუნების ისეთი სინატიფით დაჯიდოვებულია, როგორსაც ვერსად შეხვდებით”, “მეგრელები ძალიან კარგი ჯიშიც ხალხია, კაცები კარგი აღნაგობისანი, ქალები ძალიან ლამაზები”.

ტანსაცმლიდან ბარგში თავსდება” მუკაქუნალი”, “მუკოქვენჯი”, “გონაქვენჯი”, “გინაქუნალი”,”გიორთუმალი”,”მადვალარი”. მუკაქუნალში შედის ის, რაც ჩასაცმელია, გინაქუნალში რასაც მკლავი არ გაეყრება, დანარჩენი თავსაბურავი და მეორე ფეხსაცმელია. უკანასკნელ ორს ხშირად ასე აზუსტებენ, “დუდიშ გიორთუმალარი” და “კუჩხიშ მადვალარი”, ჩვენ ხელთ არის უზოგადეს ტერმინებთან ერთად ადამიანის სხეულის ნაწილების ზოგადი სახელწოდებანი.

სამოსში ფერები და ნიმუშები ხშირად ასახავს ოჯახის სტატუსს და სოციალურ მდგომარეობას, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეგრული კულტურის შენარჩუნებაში. ქალების ტრადიციული სამოსი, როგორც წესი, შედგება სქელი მატყლის კაბებისგან, რომლებიც ხშირად გაფორმებულია ხელნაკეთი დეტალებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სარტყელს, რომელიც ხშირად არის მორთული და სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.

მეგრული ტრადიციული სამოსი წარმოადგენს კულტურული იდენტობის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც გადაეცემა თაობიდან თაობას. ეს სამოსი ასახავს მეგრული საზოგადოების ისტორიას, კულტურას და ცხოვრების წესს, რაც მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო კულტურული მემკვიდრეობისათვის.

თავად-აზნაურობა საკმაოდ კარგად იცვამს. პერანგს იკერავენ სხვადასხვა ფერის აბრეშუმისაგან. პერანგის ყელსა და ქობას ჰქარგავენ სირმით, ძვირფასის ქვებით და მარგალიტებით. ეს შემკულობა რომ ყველამ ცხადად დაინახოს, პერანგი შარვალს გარეთ აქვთ გადმოფარფაშებული. პერანგზე აცვიათ ახალუხი, რომელიც მუხლებამდინ უწყდებათ. ეს ახალუხი შალის ან აბრეშუმის არის და მოქარგული. პერანგი რომ არ დაფაროს, უფრო მოკლეა პერანგზე. მასზე ყელიდან წელამდე აკერიათ ნაჭედის ვერცხლის ღილები. წელზე არტყიათ სარტყელი და სარტყელზე თურქული ხმალი ჰკიდიათ. ახალუხის ზევით, სიცივეში, აცვიათ მეორე ტანისამოსი, კიდევ უფრო მოკლე, კაზაკინის მსგავსი. ეს მეორე ტანისამოსი არის ან წმინდა შალის, ან ფარჩის, ან ხავერდისაგან და სარჩულად აქვს სიასამურის ტყავი.

მდაბიო ხალხის ქუდი ნაბდისაგან არის გაკეთებული და უფრო ჰგავს კოთხოს, ვიდრე ჩვენებურ შაპოს, რადგან კალთები სულ არა აქვს და თავს ძლივს ფარავს. ამ ქუდს სხვადასხვა სახეს აძლევენ. თავად-აზნაურები ამ ქუდს იკერავენ ან წმინდა შალისაგან და ან აბრეშუმისაგან: ზოგიერთები აქარგვინებენ მას, ან ამკობენ თათრულად სიასამურის ტყავით, ან ირანულად აკერვინებენ წაწვეტილებს, როგორც კაპუცინების თავსახურავია და ამკობენ ვერცხლის ფერის ცხვრის ტყავით, რომელიც ირანიდან მოაქვთ.

განხილული მასალა მაძლევს საშუალებას ვთქვა-დღესდღეობით ქართული ტანისამოსი კვლავაც აქტუალურია, როგორც ეროვნული იდენტობის სიმბოლო და მისი პოპულარიზაცია გრძელდება როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ტრადიციული სამოსის აღდგენა და თანამედროვე ინტერპრეტაციები ხელს უწყობს ჩვენი კულტურის მდგრადობას და უნიკალურობას, რაც მნიშვნელოვანია მომავალი თაობებისთვის.

მარი კუჭავა,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტი

თავისი საქმის პროფესიონალი

ჩვენმა დღევანდელმა რესპონდენტმა გვითხრა — „ბავშვობიდან მიყვარდა ცხოველები, მშობლებსაც ვეხმარებოდი მათ მოვლაში. ამ სიყვარულმა კი პროფესია ადვილად ამარჩევინაო", ეს პროფესია ვეტერინარია გახლავთ, რესპონდენტი კი თენგიზ ყურაშვილი, მას საზოგადოება პატივს სცემს პროფესიული და პიროვნული უნარებიდან გამომდინარე. ამბობენ გულისხმიერი, ყურადღებიანი, დაკვირვებული, კარგი სპეციალისტიაო, ხალხი კი მოგეხსენებათ შეუმცდარია, ადვილად ხვდება ვინ ვინ არის.

თენგიზი ფოცხოელია. 1992 წელს დაამთავრა საქართველოს ზოოვეტერინარული სახელმწიფო ინსტიტუტის ვეტერინარული ფაკულტეტი. თავიდან ფოცხოს ვეტუბნის გამგედ დაიწყო მუშაობა, 2003-2006 წლებში მუშაობდა ზუგდიდში — წითელი ჯვრის ორგანიზაციაში, ხოლო 2011-2015 წლებში სენაკში — სურსათის ეროვნულ საგენტოში ვეტერინარ ექიმად. ამჯერად კერძო პრაქტიკას ეწევა, პარალელურად მეუღლე ინგა ჩიქობავასთან ერთად ვეტაფთიაქს უძღვება. მაგრამ მარტო ამით არ შემოიფარგლება მისი საქმიანობა, რადგან განსაკუთრებულად უყვარს მშობლიური სოფელი, იქ ოჯახურ მეურნეობასაც ანვითარებს. გაშენებული აქვს ვაზის, თხილის, დაფნის პლანტაციები, ყავს შინაური პირუტყვი და ა.შ.

თავისი საქმიანობით თენგიზი შვილებშიც სწავლისა და შრომის სიყვარულს ერთნაირად აღვივებს. ყავს ორი ქალიშვილი ელენე და ლიზი, რომელთაგან ერთ-ერთს (ელენეს) უკვე გადაწყვეტილი აქვს მამის კვალზე წავიდეს და მის პროფესიას დაეუფლოს.

დღეს ჩვენი რესპონდენტი პროფესიიდან გამომდინარე იმ თემებს შეეხება, რომლებიც საყურადღებოა.

მოგეხსენებათ ვირუსით ადამიანებივით ცხოველებიც ინფიცირდებიან. გაზაფხული კი ყველაზე აქტიური სეზონია მათთვის. ამიტომ თენგიზს რამდენიმე კითხვით მივმართეთ: რა იწვევს ე.წ. ღორის ჭირს, როგორ ვრცელდება და პრევენციისთვის რა არის საჭირო? მსხვილფეხა საქონლის რა დაავადებებია გაზაფხულზე გავრცელებადი და პროფილაკტიკისთვის რა ღონისძიებები ტარდება? რამდენად საჭიროა აცრები და რა ინტენსივობით?

ღორის ჭირი ინფექციური დაავადებაა, რომლის გავრცელების წყაროს წარმოადგენს დაავადებული და დაავადება გადატანილი, ვირუს მატარებელი გარეული და შინაური ღორები. ვირუსმატარებლობა გრძელდება 3 - 10 თვის განმავლობაში, აღნიშნული დაავადება გავრცელებულია მთელს მსოფლიოში. ღორის ჭირის დროს ყურადრება ექცევა მაღალ ტემპერატურას, სისხლჩაქცევებს ლორწოვან გარსზე, წითელ ლაქებს ტანზე და ა.შ. ღორის ჭირის საწინააღმდეგოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფილაქტიკურ აცრებს, აცრა ორი თვის ასაკიდანაა შესაძლებელი და ყოველ ექვს თვეში ერთხელ კეთდება. ამ წესის დაცვის შემთხვევაში დაავადება თანდათან აღმოიფხვრება და მოსახლეობა არ დადგება რისკის წინაშე.

ღორის წითელი ქარიც ვრცელდება დაავადებული ღორისგან, გამოხატული ნიშნებია ცხოველის მოწყენილობა და სხეულის ტემპერატურის მომატება, ავადმყოფობა გრძელდება 2-4 დღე. რაც შეეხება გაზაფხულზე ჩასატარებელ ვაქცინაციას, ის ტარდება ძირითადად შემდეგ დაავადებებზე: პასტერელოზი, ემკარი, ბრუცელოზი, ჯილეხი და თურქული. ვაქცინაცია აუცილებელია ცხოველების დაცვისთვის, მსხილფეხა რქოსან პირუტყვებზეც აცრები კეთდება ორი თვის ასაკის ზევით ყოველ ექვს თვეში ერთხელ.

მინდა შემთხვევით ვისარგებლო და მათ ვინც შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობითაა დაკავებული ვურჩიო, ამა თუ იმ დაავადების გამოვლენის შემთხვევაში მაშინვე მიმართონ სპეციალისტს, დროული და შესატყვისი მკურნალობა ყოველთვის შედეგიანია. გარდა ამისა ვეტექიმთან ხშირი კომუნიკაცია იმისთვისაც საჭიროა, რომ პერიოდულად ჩასატარებელ საკითხებზე (რაც მეტად მნიშვნელოვანია) მიიღონ დროული რეკომენდაცია.

ჩვენს დიალოგს უცნობი ქალბატონი შეესწრო, რომელმაც მოკლედ და კონკრეტულად დაგვიხასიათა ჩვენი რესპონდენტი: „დაუზარელი, მცოდნე, კარგი მეგობარი, შესანიშნავი მეოჯახე..." მრავალნიც ასე ახასიათებენ თენგიზს, რაც მის ღირსებაზე მეტყველებს, კარგად აჩენს მის ადამიანურ და პროფესიულ სახეს...

პროფესიონალიზმი უდაოდ წარმატების საწინდარია, გვიმრავლოს თავის საქმის პროფესიონალები ღმერთმა.

ნინო ოდიშელი

მიზანდასახული ახალგაზრდა

იტყვიან უფალი სწყალობსო, ქუდბედიანია, არსთაგამრიგემ უხვად მისცა ესა თუ ის შესაძლებლობაო,... მაგრამ დამეთანხმებით ალბათ, თუ პიროვნება თავად არ არის მოწოდების სიმაღლეზე, მას ცხოვრებასთან ჭიდილში ზე თუ სხვა ძალები ვერ უშველიან. დიახ, მხოლოდ ჩვენზე, თითოეულ ჩვენთაგანზეა დამოკიდებული ხელთ არსებულ შესაძლებლობებს სწორად გამოვიყენებთ თუ არა. ჩვენმა დღევანდელმა რესპონდენტმა ცხოვრების ამ კანონს ადრეული ასაკიდანვე აუღო ალღო და პრიორიტეტებიც შესატყვისად განსაზღვრა. ის მხოლოდ ოცდაორი წლისაა და უკვე იმდენი შეძლო, რა მოცემულობისთვის ბევრს მოწიფულ თუ ხანდაზმულ ასაკშიც ვერ მიუღწევია, როგორ?

- მამის უფროს კოლეგებთან, მეგობრებთან ხშირად ვურთიერთობდი, თან მათ პროფესიულ საქმიანობას თვალს ვადევნებდი, ბავშვური ცნობისმოყვარეობა ხომ იცით, მაინტერესებდა რას აკეთებდნენ. ისინიც მიყვებოდნენ არქიტექტურაზე, მხაზველობით უნარებზე... მაკვალიანებდნენ და მეც „მოვიწამლე" ამ სფეროთი — ყვება ბექა წოწონავა.

ბექა სენაკელია, აქ დაამთავრა მეშვიდე საჯარო სკოლა, ამჯერად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეხუთე კურსის სტუდენტია, სწავლობს არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის ფაკულტეტზე. სწავლას შრომასაც შესანიშნავად უხამებს, პარალელურად ეწევა კერძო საქმიანობას — გახსნილი აქვს საპროექტო კუთხით მომსახურების სერვისი, რომელიც „საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება — კონსტრუქციული შენობა-ნაგებობების მდგრადობის განსაზღვრა და დაპროექტება და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებითაა დაკავრბული". ყავს ჯგუფი ე.წ. დარგის ექსპერტები: გეოლოგი, ექსპერტი, ბიზნეს გეგმის სპეციალისტი, შიდა ინტერიერის დიზაინერი.

სწავლაში ბეჯითი, შრომაშიც დაუზარელია, არის კარგი სამეგობრო, ყოველთვის მზადაა დახმარებისთვის. ზრდილობა და უფროსების მიმართ კეთილგანწყობა მისი განსაკუთრებული მახასიათებელია. მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდება, ამჯერად მაინორის პროგრამით ეუფლება საგზაო ინჟინერიის სპეციალობას. თავისუფალ დროს მეგობრებს უთმობს, მათაც ეიმედებათ იგი. არის უბოროტო, ხალასი სულისა და გულის, ამიტომაც ყველას — დიდსა და პატარას უყვარს. მიზანდასახულ ახალგაზრდას უკვე გარკვეული აქვს სწავლის დამთავრების შემდეგ როგორ წარმართოს თავისი საქმინაობა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში წარმატებები ვუსურვოთ მას.

ნინო ქუთელია

წიგნის საჯაროდ კითხვის დღე

საზოგადოების დიდი ნაწილი ზედმეტად არის დაკავებული და შესაბამისად ისინი ვერ პოულობენ დროს ისეთი სასიამოვნო და სასარგებლო საქმიანობისათვის, როგორიცაა წიგნის კითხვა.სწორედ ამიტო დაარსდა წიგნის საჯაროდ კითხვის დღე, რომელიც მსოფლიოს 100 -ზე მეტ ქვეყანაში 2010 წლიდან აღინიშნება. "ვიკითხოთ ხმამაღლა, შევცვალოთ სამყარო!"ასეთია წიგნის საჯაროდ კითხვის დღის მთავარი ლოზუნგი. მისი ავტორი კი ამერიკელი მწერალი და წიგნიერების ექსპერტი პემ ალინია - ქალი, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ბავშვების წიგნიერებისთვის ბრძოლის საქმეში როგორც აშშ-ში, ასევე მსოფლიოს 60-მდე ქვეყანაში. სწორედ პემ ალინი გახლავთ საერთაშორისო ორგანიზაცია LitWorld დამფუძნებელი დირექტორი და წიგნის საჯაროდ კითხვის დღის დაწესების ინიციატორიც.

საქართველოც 100-მდე ქვეყანას გვერდში ამოუდგა და 31 მილიონ ადამიანთან ერთად კითხვის მარათონში ჩაება. ამ დღესთან დაკავშირებით სენაკის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ბიბლიოთეკის ერთგული მკითხველები და მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ახალგაზრდული თეატრი „ფიროსმანის" მსახიობები, რომლის რეჟისორია ვეფხვია გორგოძე, ნიკო კაჭარავა.

ღონისძიებას ბიბლიოთეკის სპეციალისტი, ლუიზა კემულარია უძღვებოდა. მონაწილეებმა წაიკითხეს ლექსები და ამონარიდები სხვადასხვა ნაწარმოებებიდან.

ეს ტრადიცია ხმამაღლა, ერთად კითხვისა და ისტორიების გაზიარების მნიშვნელობაზეა დაფუძნებული. ეს დღე ასევე მოტივაციას სძენს მშობლებს, ხმამაღლა წაუკითხონ შვილებს სხვადასხვა ისტორია და შეაყვარონ წიგნების კითხვა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წლების განმავლობაში როგორც საჯარო ბიბლიოთეკაში, ასევე მის ფილიალებში იმართება მსგავსი ღონისძიებები, შეხვედრები, რომლებიც მიზნად ისახავს ქართული და უცხოური ლიტერატურის წარმოჩენას, პოპულარიზაციას, ახალგაზრდებში, მოზარდებში წიგნის კითხვის ინტერესის გაღვივებას.

ერთხელ ალბერტ აინშტაინს ჰკითხეს, როგორ შეიძლება, ჩვენი შვილები გონიერები გავხადოთო. მისი პასუხი ერთსა და იმავე დროს მარტივიც იყო და ბრძნულიც: "თუ გსურთ, თქვენი შვილი ჭკვიანი გამოვიდეს, - თქვა მან, - უკითხეთ ზღაპრები. თუ გსურთ, უფრო ჭკვიანი იყოს, უკითხეთ უფრო მეტი ზღაპარი"

აინშტაინმა კი ნამდვილად კარგად იცოდა კითხვისა და წარმოსახვის ფასი. ბიბლიოთეკა ის ადგილია, ისეთი სამყაროა, სადაც ჩვენს შვილებს სიხარულით ხვდებიან, სადაც მათ შეუძლიათ იკითხონ, სადაც მათ წაუკითხავენ, სადაც ისინი იოცნებებენ და სიახლეს გაიგებენ.

მ. გერგაია

ფორმალური ლოგიკისა და მეცნიერული შემეცნების საფუძვლების აღიარებული მკვლევარი

(კონსტანტინე სანაიას ხსოვნას)

მეცნიერი, ფილოსოფოსი, ფორმალური ლოგიკისა და შემეცნების საფუძვლებისა და სისტემური კვლევის მეთოდის ფილოსოფიური ასპექტების ცნობილი მკვლევარი კონსტანტინე (კოტე) დიმიტრის ძე ძე სანაია დაიბადა 1923 წლის 11 იანვარს, ქალაქ სენაკში, მოსამსახურის ოჯახში. ქუჩა, სადაც მომავალი მეცნიერი ბებია-ბაბუისა და მშობლების მზრუნველ გარემოში იზრდებოდა, სენაკში მთისკალთის ქუჩის სახელით არის ცნობილი. მშობლიური ალაგისადმი სიყვარული კ. სანაიამ იმით გამოხატა, რომ მოგვიანებით, საბჭოთა პერიოდში, „მთისკალთელის" ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიაზე, არალეგალურ გაზეთში, რომელსაც ასევე ცნობილი მეცნიერი ნოდარ ნათაძე გამოსცემდა. სენაკის სკოლის წარჩინებულმა კურსდამთავრებულმა სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი 1946 წელს დაამთავრა. 1946-1949 წლებში გაიარა თსუ-ის ფილოსოფიისა და ლოგიკის კათედრის ასპირანტურის კურსი, პროფ. კოტე ბაქრაძის ხელმძღვანელობით. შემდგომ მუშაობა განაგრძო უნივერსიტეტის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრის ასისტენტად. 1952 წელს, სრულიად ახალგაზრდამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1952-1959 წლებში მუშაობდა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრაზე, ჯერ უფროს მასწავლებლად, შემდეგ - დოცენტად. 1959 წლის აპრილიდან იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში, ჯერ უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, 1966 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე - ლოგიკის განყოფილების ხელმძღვანელის რანგში. გარდაიცვალა 1996 წლის 30 ოქტომბერს, 73 წლის ასაკში. სენაკის ერთ-ერთი ქუჩა მისი გარდაცვალების შემდეგ კონსტანტინე სანაიას სახელს ატარებს.

კ. სანაიას მეცნიერული ინტერესის სფერო იყო კლასიკური ლოგიკისა და მეცნიერების მეთოდოლოგიის პრობლემები. იკვლევდა ფორმალური ლოგიკისა და მეცნიერული შემეცნების საფუძვლებს. მის სახელთანაა დაკავშირებული ცნების ორიგინალური განსაზღვრება, რომელსაც შემეცნების თეორიასთან აკავშირებდა. იგი ამასთანავე იკვლევდა დედუქციური დასკვნის ბუნებას თანამედროვე მოძღვრების შუქზე. მან საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო სისტემური კვლევის მეთოდის ფილოსოფიური ასპექტების შესწავლა, ასევე მეცნიერული შემეცნების ლოგიკის აქტუალური პრობლემების კვლევა. აღიარებულია, რომ კონსტანტინე სანაიას მეცნიერულ გამოკვლევებს განსაკუთრებული სიზუსტე და კონკრეტულობა გამოარჩევს. იგი 70-მდე შრომისა და სამი წიგნის ავტორი იყო (წიგნები: „რა არის სისტემური კვლევა", თბ., 1981, 54 გვ.; „რა არის მეცნიერული შემეცნების ლოგიკა", თბ., 1979, 58 გვ.; „ცნების თანამედროვე თეორიები", თბ., 1970, 168 გვ.).

ქართული ფილოსოფიური აზრის მნიშვნელოვანი შენაძენია კ. სანაიას ნაშრომი „ცნების თანამედროვე თეორიები". როცა ლაპარაკია აზრის სახეებზე, როგორც აზრის ფორმებზე, წერდა კ. სანაია, იგულისხმება, რომ აზროვნება, როგორც პროცესი, მიმდინარეობს ამ ფორმებში, რომ აზროვნების/ლოგიკური წყობის გამომხატველია ცნება, მსჯელობა, დასკვნა... საერთოდ, ლოგიკური ფორმები, როგორც აზრის სახეები, ცალ-ცალკე მოიცავს ქვესახეებს. არსებობს ცნების, მსჯელობის, დასკვნის სახეები. თუ ცნება აზრის სახეა, ცნების სახე იქნება მისი სახესხვაობა. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ლოგიკურ ფორმას, როგორც აზრის სახეს, ახასიათებს გნოსეოლოგიური თავისებურება - აქვს შემეცნების ობიექტი. ლოგიკური ფორმა, როგორც ასახვის ფორმა, რაღაცის ამსახველია ჭეშმარიტად ან ყალბად და ეს რაღაცა არის მისი ობიექტი. ამასთანავე, ზოგ ლოგიკურ ფორმაში, კერძოდ, ცნებაში, არ აისახება ყოველთვის მისი ობიექტის არსებობა-არარსებობა. მაგრამ მსჯელობაში მისი ობიექტის არსებობა-არარსებობის შემეცნება აუცილებელ მომენტს შეადგენს...

ლოგიკური ფორმისა და ლოგიკური ფორმალიზმის შესახებ კონსტანტინე სანაია სხვა არაერთ მნიშვნელოვან თვალსაზრისს წარმოადგენს, მაგრამ წინამდებარე სტატიის განსაზღვრული მოცულობა არ იძლევა მისი დეტალური და ვრცელი ანალიზის შესაძლებლობას.

კ. სანაიას სადოქტორო დისერტაციის თემა იყო „ცნება როგორც ასახვის ფორმა" (დაიცვა 1972 წელს). დისერტაცია, რომელმაც ქართველ მეცნიერთა წრეში ბრწყინვალე შეფასება დაიმსახურა, იმდროინდელი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უმაღლესი საატესტაციო კომისიისათვის (ვაკ-ი) მიუღებელი აღმოჩნდა, რის გამოც მეცნიერს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი არ დაუმტკიცეს. ამასთან დაკავშირებით კ. სანაია თავის მოგონებაში წერდა: „მთელი ეს გაჭიანურებული პროცედურა იყო ისე ღრმად გასაიდუმლოებული, წმინდა რუსული ბიუროკრატიული გულმოდგინებით, რომ მე დღესაც არ ვიცი, ვინაა რეცენზიის ავტორი, სპეციალიზებულმა საბჭომ რა შემადგენლობით და ვისი თავმჯდომარეობით, როდის და რომელ სხდომაზე განიხილა ჩემი დისერტაცია და რა შინაარსის დადგენილება მიიღეს... ჩემი დისერტაციის შავბედიანი ისტორია მე მიმაჩნია მეცნიერების სფეროში რუსული ძალმომრეობის თავისებურ მაგალითად... ვგონებ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მთელი ეს ვაიკამპანია არის ერთ-ერთი სამარცხვინო ფურცელი რუსული მეცნიერების ისტორიაში".

მკვლევარი სადოქტორო დისერტაციაში განიხილავს ცნების თეორიის საკითხებს დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების შუქზე. დიალექტიკური მატერიალიზმის თანახმად, შენიშნავს კ. სანაია, ცნება როგორც შემეცნების პროცესის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი, ასახვის აზროვნებითი ფორმაა, აზროვნებითი ასახვაა, და ამით არის განსაზღვრული ცნების დამოკიდებულება თავის ობიექტთან, მისი როლი ობიექტური სამყაროს შესახებ ადამიანის ცოდნის შექმნის საქმეში, მისი ადგილი ადამიანის ცოდნის ლოგიკურ სტრუქტურაში („ცნება როგორც ასახვის ფორმა", გვ. 9).

შემეცნების მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე შექმნილი ცნების თეორიის ამოსავალ დებულებებეს კ. სანაია შემდეგი სახით აყალიბებს:

1. ცნება განსაკუთრებულად ორგანიზებული მატერიის, ანუ მატერიის განსაკუთრებით რთული ნაჭერის, ტვინის უმაღლესი განვითარების პროდუქტია;

2. ცნება არის შემეცნების ობიექტის - ადამიანის თავში აზროვნების ასახვის ფორმა;

3. ცნებები განიცდიან დიალექტიკურ ცვალებადობას, მოძრაობას და განვითარებას და ცნებათა დიალექტიკა განსაზღვრულია საგანთა დიალექტიკით;

4. ცნებები მეცნიერებათა ცდის მონაცემების განზოგადების შედეგებია;

5. ცნებათა გამოსახვა ხდება ბუნებრივ, სიტყვების ენაში, ან ხელოვნურ, სიმბოლურ ენებში. ენა ცნების გამოსახვის მატერიალური ფორმაა. თვით ცნება, როგორც აზროვნების მოვლენა, არ არის ენობრივი აღმნიშვნელი, სიტყვა, იეროგლიფი თუ სიმბოლო.

კ. სანაია მიიჩნევდა, რომ ამ ამოსავალი პრინციპების გათვალისწინების საფუძველზე სავსებით შესაძლებელი იყო ცნების სპეციფიკური ბუნების მეცნიერული სიზუსტით გამოკვლევა, მისი სტრუქტურა, სახეები, ენობრივი გამოსახულებები, დამოკიდებულება ასახვის სხვა ფორმებთან, ცნების ადგილი და მნიშვნელობა ადამიანის ცოდნის სისტემაში, ცნების ჭეშმარიტების საკითხი და ა. შ. (გვ. 12).

დისერტაციის I თავია „შემეცნების ლოგიკური ფორმა და ლოგიკური ფორმალიზმი". მასში განხილულია საკითხი, თუ რა არის ასახვის აზროვნული, ანუ ლოგიკური ფორმა საერთოდ. მოცემულია ამ ცნების გნოსეოლოგიური ანალიზი, ლოგიკური ფორმის ადგილისა და მნიშვნელობის დადგენა ერთიან შემეცნების პროცესში.

დისერტაციის II და III თავებში მკვლევარი აანალიზებს ცნების ძირითად ნიშნებსა და სპეციფიკას, მის როლს შემეცნების პროცესში, ცნების განსხვავებას ასახვის დანარჩენი ფორმებისაგან, ცნების ენობრივ გამოსახულებებს, ცნების ჭეშმარიტების საკითხს, ცნებასა და აზროვნების კანონებს, ცნების სახეების პრობლემას გნოსეოლოგიური თვალსაზრისით და სხვა საკითხებს.

საინტერესოა მკვლევრის მოსაზრება ცნებისა და მსჯელობის განსხვავებაზე, რასაც შემდეგნაირად წარმოგვიდგენს: „ცნება და მსჯელობა ორივე აზრის სახეა, მაგრამ ცნებისაგან განსხვავებით მსჯელობა არაა თავისი ობიექტის, როგორც ნიშანთა გარკვეული ერთიანობის აზრობრივი რეპროდუქცია, აზრობრივი ერთიანობა. მსჯელობა თავის ობიექტში ასახავს მის მხოლოდ ერთ ნიშანს - არსებობას ან არარსებობას, ხოლო ცნება კი იმავე ობიექტში, როცა ის გვევლინება როგორც ცნების ობიექტი, ასახავს მის ნებისმიერ ნიშანს, რომელიც კი მისაწვდომია აზროვნებისთვის მოცემულ მომენტში და ასახავს მას ობიექტის სხვა შეცნობილ, მოაზრებულ ნიშნებთან ერთიანობაში. ეს არის ფორმის მხრივ განსხვავება.

შინაარსის მიხედვით განსხვავება არის შემდეგი... ერთი ცნება შეიძლება არსებობდეს ცალკეულ შემმეცნებლებში სხვადასხვა შინაარსით, ჭეშმარიტების და მცდარობის ათასნაირი ელფერის თუ ხარისხის მქონე შინაარსებით, ე. ი. ცნება თავის შინაარსში გამოხატავს ცალკეული შემმეცნებლების მიხედვით ობიექტის შემეცენების სხვადასხვა დონეს. მსჯელობაზე ამას ვერ ვიტყვით. საერთოდ, მსჯელობის შინაარსი მაჩვენებელია ობიექტის შემეცნების დონისა, მაგრამ ერთი მსჯელობა შემეცნების ერთ გარკვეულ დონეს შეესაბამება. სხვადასხვა დონის გამოხატვა შეიძლება სხვადასხვა მსჯელობებით" (იქვე, გვ. 231).

ყოველი მსჯელობა, კ. სანაიას შეხედულებით, თავისი ობიექტის არსებობის ან არარსებობის ამსახველია. ერთი ობიექტის შესახებ მუდამ შესაძლებელია ორი მსჯელობის - დადებითისა და უარყოფითის - არსებობა. ერთი მსჯელობა მისი არსებობის, ხოლო მეორე მისი არარსებობის მაჩვენებელია. მაგალითად, „მთაწმინდა არ არის ლამაზი მთა". აქედან თუ ერთი ჭეშმარიტი მსჯელობაა, მაშინ მეორე ყალბი იქნება. ამით არის გამოწვეული, რომ ყოველი მსჯელობა ან დადებითია, ან უარყოფითი. ყოველ დადებით მსჯელობას თავისი საპირისპირო უარყოფითი მსჯელობა გააჩნია, და პირიქით (იქვე, გვ. 232-233).

დისერტაციის IV თავში - „ცნების თეორიის საკითხები და მათემატიკური ლოგიკა" - კ. სანაია მიზნად ისახავს მათემატიკურ ანუ სიმბოლურ ლოგიკაში ცნების სპეციფიკური ბუნების შესწავლას. ცნება გნოსეოლოგიურ მოვლენათა რიგს ეკუთვნის. ამიტომ, შენიშნავს კ. სანაია, ცნების თეორიასთან მათემატიკური ლოგიკის დამოკიდებულების ზოგად ხასიათსა და მიმართულებას მათემატიკური ლოგიკისა და შემეცნების თეორიის ურთიერთმიმართება განსაზღვრავს. „უფრო კონკრეტულად, ცნების თეორიის საკითხებისადმი მათემატიკური ლოგიკის ამა თუ იმ წარმომადგენლის მიდგომა განსაზღვრულია მისი კონცეფციით მათემატიკური ლოგიკისა და შემეცნების თეორიის ურთიერთობის შესახებ" (იქვე, გვ. 255).

მათემატიკური ლოგიკის ისტორია ჩვეულებრივად დაყოფილია რამდენიმე პერიოდად: 1. წინაისტორია; 2. ბულის ალგებრის, ანუ ლოგიკის ალგებრის პერიოდი; 3. ფრეგეს პერიოდი; 4. უახლესი პერიოდი, დაწყებული უაიტჰედითა და რასელით, და დამთავრებული სემიოტიკით. ამ პერიოდებიდან კ. სანაია არ შეეხება პირველ პერიოდს, რადგან მაშინ, როგორც ფილოსოფოსი შენიშნავს, მათემატიკურ ლოგიკას, როგორც ასეთს, საკუთარი სახე არ ჰქონდა. რაც შეეხება დანარჩენ პერიოდებს, კ. სანაია მათ განიხილავს ცალ-ცალკე და ვრცლად.

აქვე ორიოდე სიტყვით შევეხებით კ. სანაიას, ვ. ერქომაიშვილის, ნ. ბახტაძისა და გ. გოგუაძის კოლექტიურ ნაშრომს - „მნიშვნელობის პრობლემა" (1966 წ., რედაქტორი კ. სანაია). წიგნში ოთხი სტატიაა შეტანილი, რომლებშიც კრიტიკულად არის გაანალიზებული ლოგიკური სემანტიზმის ფუძემდებლის - გოტლიბ ფრეგეს შეხედულებანი მნიშვნელობის შესახებ, რუდოლფ კარნაპის სემანტიკური ანალიზის მეთოდი, ლოგიკური ჭეშმარიტებისა და სხვა საკითხები. ნაშრომი საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული უცხოური და ადგილობრივი ლიტერატურის ღრმა ცოდნას ემყარება და მასში აქცენტი გაკეთებულია დასავლეთის ფილოსოფოსთა დადებით, ზოგადსაკაცობრიო-ღირებულებით შინაარსსა და მხარეებზე. ნაშრომში ავტორები მსჯელობენ იმაზე, თუ რაშია გერმანელი ლოგიკოსი და მათემატიკოსი ფრეგე მართალი (მნიშვნელობის პრობლემა, თბ., 1966, გვ. 69), ან/და რატომაა ამერიკელი ფილოსოფოსი, ლოგიკური პოზიტივიზმის უმთავრესი წარმომადგენელი რუდოლფ კარნაპი „უაღრესად საინტერესო" (იქვე, გვ. 117) და სხვ.

როგორც რობერტ გოლეთიანი შენიშნავს, „მეცნიერული მიდგომა ახალი და უახლესი დასავლური ფილოსოფიის მიმართ, არამარქსისტული ფილოსოფიური აზრის შეფასების ობიექტური კრიტერიუმების მომარჯვება, მართალია, თანდათანობით, მაგრამ სულ უფრო და უფრო მეტად ხდებოდა სიმპტომატური მეცნიერულ კვლევა-ძიებებში" (რ. გოლეთიანი, ქართული სოციალურ-ფილოსოფიური აზრი: მიმართულებები, თავისებურებანი. 1918-2000. ქუთ., 2001, გვ. 99). ზემოთ დასახელებული კოლექტიური ნაშრომი არამარქსისტულად მიჩნეული ფილოსოფიური აზრის ობიექტურად შეფასების ნიმუშს წარმოადგენს.

იგორ კეკელია,
ისტორიის დოქტორი,
ფოთის №15 საჯარო სკოლის
წამყვანი პედაგოგი

ხსოვნა

მანანა მაღანია



სენაკის სამედიცინო საზოგადოებას გამოაკლდა კვალიფიციური ექიმ-თერაპევტი, საუკეთესო მეგობარი და გულისხმიერი პიროვნება მანანა მალანია.

მანანა მალანიამ 1976 წელს დაამთავრა მოსკოვის სამედიცინო-სტომატოლოგიური ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, სპეციალობა სამკურნალო საქმე.

1979 წელს მუშაობა დაიწყო ზანის საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში ექიმ-თერაპევტად, 1988 წელს იგი გადაყვანილ იქნა ამავე საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგედ.

რამდენიმე ათეული წელი მანანა მალანიამ შპს „ამბულატორიულ პოლიკლინიკურ გაერთიანებაში" იმუშავა ექიმად, 2009 წლიდან პარალელურად ლეძაძამის თემის საექიმო ამბულატორიის ექიმი იყო. ქალბატონი მანანა გამოირჩეოდა პაციენტებისადმი გულთბილი დამოკიდებულებით, პროფესიონალიზმით, ყოველნაირად ცდილობდა პროფესიულ საქმიანობაში დაეცვა საჭირო სტანდარტები, ადამიანების თანაგრძნობა და მათი ღირსების პატივისცემა იყო მისი პროფესიული მახასიათებელი.

იგი განუხრელად ზრუნავდა პროფესიულ განვითარებაზე, გავლილი ჰქონდა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ტრენინგები. 2001 წლის აგვისტოში მიიღო სახელმწიფო სერტიფიკატი შინაგან მედიცინაში (ნებადართული სპეციალობა), 2011 წელს ასევე დაიმსახურა სახელმწიფო სერტიფიკატი საოჯახო მედიცინაში (ნებადართული სპეციალობა).

სიმღერის ნიჭი ჰქონდა, იუმორის შესაშური გრძნობა, ყოველ მეგობრულ შეკრებაზე ავლენდა ლაღ და ხალისიან ხასიათს, სამეზობლოსა და სამეგობროში საკუთარივით ითავისებდა სხვათა ჭირსა და ლხინს.

ბოლო ხანებში ავადმყოფობის მიუხედავად ყოველნაირად ცდილობდა პაციენტების სატკივარი უყურადღებოდ არ დაეტოვებინა. მეუღლის კარლო კაკაშვილის გარდაცვალებამ დიდი ტკივილი მოუტანა. რამდენიმე დღის წინ, სამოცდაცამეტი წლის ასაკში თავადაც აღესრულა. დაგვაკლდა კარგი ექიმი, საუკეთესო ადამიანი და მეგობარი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მანანა მალანიას ცად ამაღლებული სული, იგი ჭეშმარიტად დააკლდა ქალაქს, მეგობრებს, ახლობლებს, პაციენტებს. ამბობენ ხსოვნა სიკვდილზე უფრო ძლიერიაო. გპირდებით არ დაგივიწყებთ, მუდამ თბილად მოგიგონებთ და ვილოცებთ შენი სულის უკვდაყოფისათვის ძვირფასო კოლეგავ

შპს „ამბულატორიულ-
პოლიკლინიკური გაერთიანება"

ლავანდა ხურცილავა, მაყვალა საბახტარაშვილი, მერაბ ყურაშვილი მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, თანაკლასელის, საუკეთესო ადამიანური თვისებებით გამორჩეული პიროვნების

მანანა მალანიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „კოლხეთის: რედაქცია თანაუგრძნობს თეა კაკაბაძეს და გოგა ბაბუნაშვილს დედის და დედამთილის

ზანი ბაბუნაშვილის

გარდაცვალების გამო

კროსვორდი

ცარიელი გრაფები შეავსეთ ქართველი მსახიობების გვარებით, ისე რომ გამუქებულ უჯრებში მიიღოთ „საქართველო გაბრწყინდება"



შეადგინა მაია გერგაიამ

2020 წლის № 1-2 -ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:
მენჯი; შხეფი; გახომელა; სირიაჩკონი; ტყირი; კვაუთი; ლეძაძამე; ხორში; ისულა; ნოსირი; ლეგოგიე; ზანა; თეკლათი; ეკი; კოტიანეთი.

სპორტი

ღირსეული გამარჯვება

16 თებერვალს ქ.ფოთში სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მხარდაჭერით ჩატარდა ქ.ფოთის ღია პირველობა MMA -ში და K-1-ში, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ფოთის, ოზურგეთის, ურეკის, ზესტაფონის, ჩოხატაურის, ხობის, ბათუმის და სენაკის სპორტსმენები. ტურნირის ორგანიზატორი იყო დამსახურებული სენსეი ბაჩუკ სულამანიძე.

ტურნირში ღირსეულად იასპარეზა სენაკის აღმოსავლური და შერეული ორთაბრძოლების კლუბ მგლების 7 სპორტსმენმა.

მგლებმა K-1-ში მოიპოვეს თასი და გუნდური პირველი ადგილი.

პირველი ადგილები დაიკავეს:

გაბედავა ნიკოლოზმა, დარსალია ნინიმ, შამათავა ნიკოლოზმა და გრიგოლია რატი.

ხოლო საპანაძე გაბრიელმა, ქანთარია ნიკამ და ხოფერია გიორგიმ-მეორე ადგილი.

MMA-ში გუნდის კაპიტანმა ნიკოლოზ შამათავამ დაიკავა ღირსეული პირველი ადგილი.

ვულოცავთ კლუბ მგლების სპორტსმენებს და მწვრთნელს ლაშა ჯოლოგუას გამარჯვებას და ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

7-9 თებერვალს, სომხეთის ქალაქ ვაღარშაპატში გაიმართა ლევონ შაგოიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში 17 წლამდელთა შორის. სხვა სპორტსმენებთან ერთად ტურნირში მონაწილეობდა გაერთიანების სასპორტო სკოლის ახალგაზრდა ფალავანი, საქართველოს ნაკრების წევრი, საქართველოს ორგზის ვიცე — ჩემპიონი, და ევროპის ჩემპიონატის ვიცე - ჩემპიონი გიორგი(92კგ).

გიორგიმ ყველა შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა და ღირსეული პირველი ადგილი დაიკავა.

აღნიშნულ ტურნირზე მონაწილეობის მისაღებად გიორგი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის, ვახტანგ გადელიას მხარდაჭერით გაემგზავრა.

ვულოცავთ გიორგის და მის მწვრთელს, რამაზ კოკაიას მოპოვებულ გამარჯვებას. კიდევ ბევრჯერ ესახელებინოს ჩვენი მუნიციპალიტეტი და საქართველო.

კალათბურთი

9 თებერვალს, ქ.ფოთში დასრულდა დამსახურებული მწვრთნელის, თბილისის „დინამოს" ყოფილი კალათბურთელის როლანდ გარუჩავას სახელობის ტურნირი კალათბურთში U-16.

წარმატებით იასპარეზეს სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის კალათბურთელებმა(მწვრთნელი შოთა კუჭავა) და დაიკავეს მესამე ადგილი.

აღსანიშნავია რომ, ისინი საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად ემზადებიან. რაც სენაკის კალათბურთის ისტორიაში უპრეცედენტოა.

ვულოცავთ ჩვენს კალათბურთელებს კიდევ ერთ გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს საქართველოს ჩემპიონატში.

სამბო

31 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით, თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა სამბოში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ კადეტები, ჭაბუკები და ახლგაზრდები.

წარმატებით იასპარეზეს სენაკელმა სპოერტსმენებმა ანანო კინწურაშვილმა და მარიამ სიჭინავამ და მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონის ტიტული.

ვულოცავთ ანანოს და მარიამს დამსახურებულ გამარჯვებას, კიდევ ბევრჯერ ესახელებინოთ ჩვენი ქალაქი.

მ. შონია

სარედაქციო ჯოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №235, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი ჯომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499